



სამეწარმეო სამართლის რეგულირება საქართველოში

რეზიუმე

ლევან ათუაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: Latuashvili@gmail.com

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია დაურეგულირებელი ბიზნეს სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე. ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა და ბიუროკრატია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. საქართველო ბიზნესის დაწყების სიმარტივით მოწინავე ადგილზეა. აღნიშნულ სტატიაში განხილულია ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა. ზოგადად საქართველოში ბიზნესს სხვადასხვა კანონი და ნორმატიული აქტი არეგულირებს. ამ შემთხვევაში ზოგადად შევეხეთ საქართველოს კანონს მეწარმეთა შესახებ. ცვლილებები და რეფორმები აღნიშნული კუთხით მუდმივად მიმდინარეობს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც არსებობს საკითხები რაც ჯერ ისევ პრობლემას უქმნის მეწარმეებს. აღნიშნულ სტატიაში მოყვანილია ის პრობლემები და ხელისშემშლელი ფაქტორები რაც დაბრკოლებას უქმნის ბიზნესის განვითარებას. ასევე მოკლეთ შევეხეთ ამ კანონში არსებულ ბუნდოვან მხარეებს რაც მეწარმეებს ხელს უშლის საქმიანობის წარმართვაში.

საკვანძო სიტყვები:

მეწარმე
ბიზნესი
სამეწარმეო საქმიანობა
საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”

სააქციო საზოგადოება
იურიდიული პირი
სამართლებრივი
საწარმო

როგორც უკვე აღნიშნეთ, ბიზნესში წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია დაურეგულირებელი ბიზნესსამართლებრივი ურთიერთობების გარეშე. ამ თვალსაზრისით ქართველ მეწარმეს მრავალი პრობლემა აქვს. მისი საქმიანობის ყოველ წუთს ახალი ურთიერთობები მოაქვს, რაც სამართლიანობისა და კანონიერების ფარგლებს არ უნდა გასცდეს. მეწარმეს ამ საკითხის მოსაგვარებლად რამოდენიმე გზა აქვს, აქედან ერთერთი გამოსავალია მეწარმის სამართლებრივი კულტურის ამაღლება, მისთვის

კანონის ზუსტი განმარტება და საკუთარი უფლება მოვალეობების შესწავლა.

ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ ნორმებს მცირე და საშუალო ბიზნესის თვალსაზრისით. შესაბამისად, ყველა შედავით, უპირატესობა თუ პრობლემა საერთოა ყველა ზომის საწარმოსთვის.

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელია საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”, ასევე საქართველოს კანონი “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”, ნაწილობრივ საქართველოს საგადასახადო კოდექსი და “მცირე და მიკრო ბიზნესის შესახებ” ფინანსთა სამინისტროს დადგენილება.

საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ” შეიცავს უამრავ ხარვეზს, რაც მეწარმეებს ხელს უშლის საქმიანობის წარმოებაში. ამიტომაც საჭიროდ ჩაეთვალიერა ყურადღება გავამახვილოთ “მეწარმეთა შესახებ” კანონის ხარვეზებზე და ქვემოთ უფრო დავფრილებით განვიხილავთ მათ.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ აღნიშნული, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ნორმებს.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება რომ, იმ შემთხვევაში თუ, კანონმდებელი წესდების თავისუფლების პრინციპს ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე ერთნაირად შეუზღუდავად გააერცვლებს, შედეგად მივიღებთ სამეწარმეო საქმიანობების გაუმიჯნავ ფორმებს, რომლებსაც მხოლოდ ტერმინები განასხვავებს და არა შინაარსი და დანიშნულება.

დღეს მოქმედი კანონით შესაძლებელია ღია სავაჭრო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა იდენტურობის შეცვლის გარეშე, ანუ არ არის საჭირო მისი ლიკვიდაცია და ხელახალი დაფუძნება სხვა სამართლებრივი ფორმით. აქედან გამომდინარე როგორც თეორიუ-



ლად, ასევე სამართლებრივადც მინიმალურია განსხვავება კორპორაციულ იურიდიულ პირსა და პერსონალურ საზოგადოებებს შორის მათი იურიდიული სტატუსის ნაწილში, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე სახის ორგანიზაცია უფლებადუნარიანია.¹

მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი შეიცავს სამეწარმეო იურიდიული პირების ერთგვარ კატალოგს: “სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი წარმოადგენენ იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოებს ...” ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი სპს-ის პარტნიორებსა და კს-ის კომპლემენტარებს საზოგადოების ვალდებულებებისთვის პასუხს აკისრებს სოლიდარულად, პირდაპირ და მთელი ქონებით, ისე, რომ ნორმის იმპერტიულობიდან გამომდინარე, განსხვავებული შეთანხმება პარტნიორებს შორის მესამე პირისთვის ბათილია.

შედეგად გვაქვს იურიდიული პირის სამართლებრივი დეფინიცია და მის ქვეშ გაერთიანებული, ორი ტიპოლოგიურად განსხვავებული საზოგადოების სახეობა, რომელსაც რეგულირების განსხვავებული რეჟიმი აქვს. სამოქალაქო კოდექსში დეფინიცირებული იურიდიული პირის ცნება კაპიტალური საზოგადოებების (შპს, სს) სტრუქტურულ მახასიათებლებს უწევს ანგარიშს, ხოლო პერსონალური საზოგადოებებისთვის (სპს, კს) შეუსაბამოა, სახეზეა ნორმათა კონფლიქტი.²

ქართველმა კანონმდებლებმა დაამატა შპს-ის დაარსების ტოტალური გამარტივება და სახელშეკრულებო ავტონომიის ხარისხით ქართულმა შპს-მა, ალბათ ყველა ლიბერალური მართლწესრიგის მსგავს ან შედარებით “პროდუქტს” გადააჭარბა. რეფორმის შედეგად მივიღეთ კაპიტალური საზოგადოება კაპიტალის გარეშე. შპს-ის დაარსება მარტივია. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ “მეწარმეთა შესახებ” კანონის 45-ე მუხლის აქტუალური რედაქციით, გაუქმდა კანონისმიერი მინიმალური საწესდებო კაპიტალის სამართლებრივი ინსტიტუტი. საწესდებო კაპიტალის განსაზღვრა შესაძლებელია ნებისმიერი ოდენობით, რაც დამფუძნებელთა ავტონომიური პრეროგატივაა. სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა განაპირობებდა სამართლებრივი ნორმების მთელ რიგ სისტემას, რომლის მიზანი კაპიტალის რეალურად შეტანის და მისი საზოგადოებაში შენარჩუნების უზრუნველყოფა იყო და ამ საკორპორაციო ვალდებულებებ-

ის შეუსრულებლობის შედეგებს განსაზღვრავდა.³

შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა შპს-ის ფუნქციონირების კორპორაციულ-სამართლებრივი ჩარჩოების დადგენასა და მესამე პირთა ინტერესების დაცვაზე ხელი აიღო და ეს მეწილეებს, კრედიტორებს და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს დააკისრა. ამით კანონმდებელმა მოიხსნა პასუხისმგებლობა საზოგადოებასთან კავშირში მყოფი სუბიექტების ბედის განსაზღვრაზე. რეფორმის ავტორთა აზრით, საწარმოთა დაფუძნების გამარტივება განაპირობებს დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ზრდას. რაც უფრო მეტი საწარმო დაფუძნდება, მით უფრო მეტი კაპიტალი დაბანდდება, შეიქმნება სამუშაო ადგილები, მოკლედ, გაიზრდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. მიზანი ლეგიტიმურია, შედეგის წარმატებულობა - საჭკვო, მეთოდი კი - დამაფიქრებელი. “მეწარმეთა შესახებ” კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი შეიცავს გენერალურ დათქმას, რომლის მიხედვით, კომანდიტები, შპს-ის, სს-ისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულების პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმას. ეს დათქმა ევენტუალურ საფრთხეს შეიცავს როგორც კაპიტალური საზოგადოებების პარტნიორებისათვის, ასევე კრედიტორებისთვის. ეს ასე იქნება მანამ, სანამ დადგინდება მისი გამოყენების ზუსტი ობიექტური და სუბიექტური წინაპირობები. პირველ რიგში, ნორმის გრამატიკული შინაარსიდან ჩანს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენებაში იგულისხმება არა შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფიგურის ბოროტად გამოყენება, არამედ თვითონ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება. ამ ორ შემადგენლობას შორის განსხვავება დანახული უნდა იქნეს. შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმების ბოროტად გამოყენება გულისხმობს თვითონ ორგანიზაციული ფორმის არამიზნობრივად გამოყენებას, როდესაც საზოგადოების დაფუძნება და მისი სახელით გარიგებების დადება ვილაციისთვის ზიანის მიყენების და საკუთარი სარგებლის ოპტიმიზაციის მიზნით ხდება. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ნორმის ამგვარი გაგება იმდენად დესტრუქციულია, რომ პრაქტიკაში გაძნელებდა პასუხისმგებლობის დასაკონკრეტებლად სამოსამართლო კრიტერიუმების შექმნა. მეორე მხრივ, ამ ნორმის დიდი ემპირიული მნიშვნელობის შემთხვევაშიც კი,



ის პარტნიორთა პასუხისმგებლობის გზით კრედიტორთა დაცვის მხოლოდ ნაწილობრივ ასპექტს მოიცავს.⁴

ნორმა ბევრად უფრო პრაქტიკული იქნებოდა და თავის მიზანს მიაღწევდა, თუ კანონმდებელი აკრძალავდა არა მხოლოდ ორგანიზაციული ფორმის, როგორც ასეთის, არამედ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფიგურის ბოროტად გამოყენებას. “მეწარმეთა შესახებ” კანონის მე-8 მუხლი სრულ თავისუფლებას ანიჭებს პარტნიორებს მოგების განაწილების საკითხში. შედეგად, შესაძლოა, კომპანიის საპასუხისმგებლო ფონდი დასაფარავად საკმარისი არ იყოს.

“მეწარმეთა შესახებ” კანონის 55-ე მუხლის 7 პუნქტი, რომელიც დისპოზიციურად დირექტორის ფუნქციების სამეთვალყურეო საბჭოზე გადაცემას უშვებს, კომპეტენციათა ქაოსის საფრთხეს ქმნის. კომპეტენციათა აღრევის კიდევ ერთი გამოვლინებაა ინტერესთა კონფლიქტის ღია შესაძლებლობაც, როდესაც დირექტორს ეძლევა უფლება, იმავდროულად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც გახდეს. კანონი უშვებს საერთო კრების უფლებამოსილებების დირექტორებისთვის გადაკისრებასაც.

მეორე პრინციპული ხარვეზიც (დირექტორთა ორგანიზაციული უფლებამოსილების სისუსტე) კანონით არის განმტკიცებული. სამეთვალყურეო საბჭო მაკონტროლებლის ფუნქციებთან ერთად საზოგადოების მართვის ფუნქციებსაც ითვისებს. მეწარმეთა შესახებ კანონის 55-ე მუხლის მე-8 პუნქტი შეიცავს სამეთვალყურეო საბჭოს იმ უფლებამოსილებათა კატალოგს, რომელიც მას შესაძლოა წესდებით დაუმტკიცდეს. კერძოდ, მას შეუძლია მიიღოს სამეურნეო გადაწყვეტილებები და უფრო მეტიც, მას შეუძლია დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენაც. ყველაფერი ეს მიუთითებს ერთ რამეზე: სამეთვალყურეო საბჭო აქციონერთა საერთო კრებასთან ერთად მართვის დომინანტურ ორგანოს ქმნის, ანუ კანონმდებელს სურს, რომ საწარმოს მსხვილი აქციონერების ხელში მოაქციოს საზოგადოების მართვის მთელი სადავეები, დაწყებული მიმდინარე ოპერატიული გადაწყვეტილებებიდან, დამთავრებული საზოგადოების სტრუქტურულ-სტრატეგიული საქმეებით. ამავე დროს, 55-ე მუხლის მე-8 პუნქტის ოპციის რეალურად ამოქმედების შემთხვევაში, თავიდან ვერ ავიცილებთ მართვისა და კონტროლის უფლებამოსილებების ერთ “ბორღზე” აკუმულირების პრობლემასაც.

“მეწარმეთა შესახებ” კანონის მე-9 მუხლის თანახმად, დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. როგორც დეფინიციიდან ირკვევა “მეწარმეთა შესახებ” კანონი არ ავლენს ზღვარს გულმოდგინეობის მოვალეობასა და ერთგულების მოვალეობებს შორის. აღნიშნული დეფინიცია ფაქტობრივად ორივე მოვალეობას მოიცავს; ერთი მხრივ, იკვეთება გულმოდგინეობის მოვალეობა- ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი- და მეორე მხრივ, საზოგადოების სასარგებლოდ ყველაზე ხელსაყრელი მოქმედების განხორციელება, რაც როგორც გულმოდგინეობის, ისე ერთგულების მოვალეობებს გულისხმობს.

ნიშანდობრივია, ასევე “მეწარმეთა შესახებ” კანონის 56-ე მუხლის მეოთხე პუნქტი, რომლის თანახმადაც დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. „მეწარმეთა შესახებ” კანონის ეს ორივე მუხლი, ჩვენი აზრით, საკმაოდ საინტერესოა. ერთი მხრივ, 56-ე მუხლის მეოთხე პუნქტი საუბრობს კეთილსინდისიერებაზე, რომლის დეფინიცია „მეწარმეთა შესახებ” კანონის ზოგად ნაწილშია, ხოლო მეორე მხრივ, ასევე ეხება გულმოდგინეობის მოვალეობას, რომლის განსაზღვრებაც იგივე კანონში არ მოგვეპოვება.

აღნიშნული საკითხი საკმაოდ პრობლემატურია, რადგან გულმოდგინეობის მოვალეობა არ შეიძლება იყოს მხოლოდ სააქციო საზოგადოების დირექტორების სამოქმედო პრინციპი და იგი თანაბრად უნდა გავრცელდეს ყველა სხვა საწარმო საზოგადოების ხელმძღვანელების საქმიანობაზე. ჩემის აზრით, აღნიშნული საკითხის ყველაზე მარტივი და სწორი გადაწყვეტილება იქნება გულმოდგინეობისა და ერთგულების მოვალეობების დეფინიციების სახით ჩამოყალიბება „მეწარმეთა შესახებ” კანონში.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჩვენი აზრით ისიც, რომ კანონი არის შექმნილი ისეთი ენით, რომლის გაანალიზება საკმაოდ პრობლემას წარმოადგენს მეწარმეთათვის. იგი შეძლებისდაგვარად უნდა გამარტივდეს და მიიღოს ისეთი სახე, რომელიც ელემენტარული და მარტივი აღსაქმელი იქნება ნებისმიერი მეწარმისათვის.

ყველაზე დიდ მსგავსებას ქართული სამე-



წარმოადგენს სამართალი გერმანულთან განიცდის. ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც, გერმანიაში სამეწარმეო სამართლის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დისციპლინის ჩამოყალიბებას, ძირითად საფუძვლად დაედო კერძო და საჯარო სამართლის გამოყენება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, არაერთი ბუნდოვანი ნორმები, რომლის შეცვლა

ალბათ სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი.

არსებობს კარგი არგუმენტები სამეწარმეო განათლების მხარდასაჭერად. ივარაუდება, რომ მეწარმეობის შესწავლა ხელს შეუწყობს ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური სისტემა ტრანსფორმაციას განიცდის საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ბურდული, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. თბილისი. 2009 წ.
2. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

ებ”.

3. ბურდული ირაკლი, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

REFERENCES

1. I.Burduli- Modern corporation law theoretical and practical issues. Tbilisi 2009.
2. Georgian law code about “entrepreneurs”.

3. Burduli Irakli - Property relationship in a joint-stock company. Tbilisi University publishing house, 2011.

ENTERPRENEUR LAW REGULATION IN GEORGIA

LEVAN ATUASHVILI
PhD student of GTU
Email: Latuashvili@gmail.com

Summary

It is inconceivable to develop a country without an irregular law business relationship. Business development is influenced seriously by the legislation and the bureaucracy, which is existed in the country. Georgia is advanced for its business simplicity. There is discussed business regulation legislation in this article. In Georgia, general business is regulated by different laws and normative acts. In this case we generally focus on the law about employers. Other changes and reforms with these directions are constantly in progress. However, there are many issues which cause problems for the employers. In the article there are presented problems and frustrated factors which block business development. Also we briefly focus on the dull sides of the law, which make problems for the employers to do their job.